

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება LLC
შპს სნეილ ქეჩი **Snail Catch**

ფინანსურ ანგარიშგება (Financial statement)

2024 დასრულებული წლისათვის (for the finished year 2024)

რაც მოიცავს პერიოდს
01.I.2024 დან ~ 31.XII.2024 მდე

თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებული და წარდგენილია

საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (currency is GEL)

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია
მცირე და საშუალო საწარმოების
ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

თბილისი,
პეკინის 27.

2025 წ. სექტემბერი

შპს სწეილ ქეჩი (ინდივიდუალური)
2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება/Profit and loss account

	შენიშვნა	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
ამონაგები/Income	4	25 827	162 030	269 897
სხვა შემოსავალი/Other income	-	0	0	0
არასაოპერაციო შემოსავალი/Non-operating income	5	132 928	119 064	198 516
გამოყენებული წედლეული და მასალები/Raw materials and g	-	-23 800	-102 227	-138 210
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა Salary	-	-273 769	-186 045	-14 463
ბიოლოგიური პროცესების შედეგი/The consequences of biolo	-	0	-1 132 517	-68 235
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი/Depreciation expense	-	-50 611	-97 295	-91 196
ძირითადი საშუალებების გაუფასურება/Devaluation of fixed a	-	0	0	0
სხვა ხარჯები/Other expenses	6	-389 826	-579 920	-351 024
ფინანსური დანახარჯები/Financial expenses	-	-14 177	-53 462	-79 626
არასაოპერაციო ხარჯები/ Non-operating expenses	7	-203 262	-190 212	-172 080
მოგება დაბეგვრამდე/Profit before taxation	-	-796 690	-2 060 584	-446 420
მოგების გადასახადის ხარჯი/Income tax	-	0	0	0
მიმდინარე წლის მოგება/Net Profit of current year	-	-796 690	-2 060 584	-446 420

საწარმოს დირექტორი/Director
 მერაბ ნადარაია/Merab Nadaraia



შპს სწეილ ქეჩი (ინდივიდუალური)
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (Financial position)
 2024 წლის 31 დეკემბრისათვის

	შენიშვნა	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
მიმდინარე აქტივები/Current Assets				
ფულადი სახსრები/Cash	-	424 258	458	7 996
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები/Trading & Other Receivables	8	146 485	13 544	50 293
სხვა სასესხო აქტივები/Loan Assets	9	0	90 007	101 388
წინასწარ გადახდილი გადასახადი/Prepaid Tax	-	26 827	2 311	0
კაპიტალის შევსებაზე მოთხოვნა / Capital Contribution Reeival	-	2 402 684	2 402 684	2 402 684
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები/Goods and Inventor	10	1 447 606	606 055	400 861
		4 447 860	3 115 059	2 963 222
გრძელვადიანი აქტივები/Long-term assets				
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში/Investments	-	0	0	0
ძირითადი საშუალებები/Fixed Assets	11	2 432 799	2 350 829	2 303 171
არამატერიალური აქტივები/Intangible Assets	12	805 777	805 777	805 777
გადავადებული საგადასახადო აქტივი/Deferred Tax Asset	-	0	0	0
		3 238 576	3 156 606	3 108 948
სულ აქტივები/Total Assets	-	7 686 436	6 271 665	6 072 170
მოკლევადიანი ვალდებულებები/Short-term liabilities				
სავაჭრო ვალდებულებები/Trade liabilities	13	194 216	264 403	273 158
მოკლევადიანი სესხები/Short term loans	-	0	0	0
გადასახდელი პროცენტი/Interest Payable	-	6 362	51 179	121 888
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება/Current Tax Liability	-	0	0	29 819
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები/ Employee liability	-	4 847	5 990	3 708
ფინანსური იჯარის ვალდებულებები/Financial Lease	-	0	0	0
		205 425	321 572	428 573
გრძელვადიანი ვალდებულებები/Long-term liabilities				
გერძელვადიანი სესხი/Long term loans	14	986 701	1 516 366	1 639 752
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოები Long term Empl	-	0	0	
ფინანსური იჯარის ვალდებულებები/Financial Lease liabilities	-	0	0	
		986 701	1 516 366	1 639 752
სულ ვალდებულებები/Total liabilities	-	1 192 126	1 837 938	2 068 325
საკუთარი კაპიტალი/Capital				
სააქციო კაპიტალი/Equity Capital	15	7 291 000	7 291 000	7 291 000
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი/Undistributed profit-loss	-	-796 690	-2 857 273	-3 287 156
		6 494 310	4 433 727	4 003 844
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი/Total liabilities a		7 686 436	6 271 665	6 072 170

საწარმოს დირექტორი/Director
 მერაბ ნადარაია/Merab Nadaraia



შპს სწეილ ქეჩი (ინდივიდუალური)

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება Cash flow statement

	შენიშნა	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან/Operational Cash flow				
პერიოდის მოგება/Profit of the Period	-	796 690	2 060 583	446 420
ცვეთის ხარჯები/Depreciation expense	-	50 611	97 295	91 196
საპროცენტო ხარჯები/Interest Expense	-	14 177	53 462	79 626
საპროცენტო შემოსავალი/Interest Income	-	-	5 805	11 381
გასაცემი ხელფასების ზრდა / Ney increase in Employee Liabilit	-	4 847	1 143	16 066
გადახდილი გადასახადები ზრდა / Net Increase in Taxes	-	26 827	24 517	28 178
მომწოდებლის ვალდებულების ზრდა / Net increase In Tra	-	194 502	69 901	36 429
დებიტორების დავალიანების ზრდა / Net increase in Trade rec	-	2 549 169	132 941	36 750
საქონლის ზრდა / Net Increase in Goods and inventory	-	1 447 606	841 551	211 794
სხვა განაცემები / Other	-	-	-	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
Net Chas from Operational Activities	-	4 556 155	845 578	63 394
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან / Cash from Investment Activities				
ძირითადი საშუალების შეძენა / Fixed asset Purchase	-	3 289 187	15 325	43 537
ძირითადი საშუალების გაყიდვა / Sale of fixed Assets	-	-	-	-
ინვესტირება შვილობილ საწარმოში / Investment in Subsidiari	-	-	-	-
სესხების გაცემა / Loaned Money	-	-	95 000	-
სესხის დაბრუნება / Refund of Loaned Money	-	-	7 694	-
მიღებული დივიდენდი / Received Dividends	-	-	-	-
მიღებული პროცენტები / Received Interests	-	-	3 103	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
Cash Flow from Investment Activities	-	3 289 187	99 527	43 537
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან / Cash from Financial Activities				
საწესდებო კაპიტალის შემოტანა / Placement of Additional Cap	-	7 291 000	-	-
საწესდებო კაპიტალის გატანა / Distribution of Capital	-	-	-	-
შემოსულობები სესხებიდან / Loan Taken	-	1 044 231	615 912	123 386
ნასესხები სახსრების გადახდა / Refunding of Loan taken	-	57 531	86 247	-
პროცენტის გადახდა / Payment of Interest	-	8 101	8 359	8 917
გაცემული დივიდენდები / Dividend Distribution	-	-	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
Cash Flow From Financial Activities	-	8 269 600	521 307	114 469
ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის / Cash :	-	0	424 258	458
ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის / cash at the	-	424 258	458	7996

საწარმოს დირექტორი/Director

მერაბ ნადარაია/Merab Nadaraia



შპს სწეილ ქეჩი (ინდივიდუალური)
2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება / Capital Movement

	შენიშვნა	საწყისი კაპიტალი 1 ლარი	აკუმ. მოგება 1 ლარი	სულ 1 ლარი
კაპიტალი 2022 წ. 31 დეკემბრით / 31/12/2022	-	7 291 000	- 796 690	7 291 000
პერიოდის მოგება/ზარალი / Profit or Loss for the Period	-	-	- 2 060 583	- 2 060 583
პერიოდის დივიდენდები / Dividend Distributed	-	-	-	-
პერიოდის რეზერვების მოძრაობა / Changes in Other Reserve	-	-	-	-
პერიოდში დამფუძნებლის შემონატანი / Placement of Additic	-	-	-	-
კაპიტალი 2023 წ. 31 დეკემბრით / 31/12/2023	-	7 291 000	- 2 857 273	4 433 727
პერიოდის მოგება/ზარალი / Profit or Loss for the Period	-	-	- 446 420	- 446 420
პერიოდის დივიდენდები / Dividend Distributed	-	-	-	-
პერიოდის რეზერვების მოძრაობა / Changes in Other Reserve	-	-	16 538	16 538
პერიოდში დამფუძნებლის შემონატანი / Placement of Additic	-	-	-	-
კაპიტალი 2024 წ. 31 დეკემბრით / 31/12/2023	-	7 291 000	- 3 287 155	4 003 845

საწარმოს დირექტორი
მერაბ ნადარაია



შპს სწეილ ქეჩი (ინდივიდუალური)

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სწეილ ქეჩი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში.

საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ზუგდიდი, სოფელი ხიბულა და მიმდებარე ტერიტორია

მისი ძირითადი საქმიანობაა სასოფლო სამეურნეო პროდუქტის (საჭმელი ლოკოკინების)

მოშენება/მომრავლება და მისი მზა პროდუქტად დამუშავება, ასევე მიწოდება საცალო თუ საბითუმო ქსელში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ზუგდიდის ადგილობრივი საერთაშორისო

სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების

საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

სამუშაო ვალუტა

საწარმოს სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან ის წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, სადაც საწარმო ეწევა საქმიანობას.

თავდაპირველი აღიარება

საწარმომ უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციებს თავდაპირველი აღიარებისას ასახავს სამუშაო

ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ იყენებს უცხოური ვალუტის

სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსს, ოპერაციის თარიღისათვის.

წარდგენა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმო:

(ა) უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაიყვანს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით;

(ბ) არაფულადი მუხლები, რომლებიც ასახულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულებით, გადაიყვანს ოპერაციის თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით;

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

დარიცხვის მეთოდი

ფინანსური ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, მოამზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების მომზადებულია საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარის გათვალისწინებით როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ანგარიშგება.

საწარმო მიიჩნევა ფუნქციონირებად საწარმოდ რადგან მის ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს.

საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებისას ხელმძღვანელობა გამოიყენა ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია მომავლის შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღიდან სულ მცირე თორმეტ კალენდარულ თვეს მოიცავს, თუმცა შეზღუდული არ არის ამ პერიოდით.

ანგარიშგების წარდგენის სიხშირე

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს (მათ შორის, შესადარისი ინფორმაცია) საწარმო ადგენს წლიურ საფუძველზე და წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

2024 წლის ანგარიშგებები მომზადებულია სტანდარტულ პერიოდზე და მოიცავს ზუსტად კალენდარულ წელს - 12 თვეს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით, თუ წინამდებარე სტანდარტით სხვა საფუძვლის გამოყენება არ მოითხოვება,

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასებისას საწარმო ძირითად ფინანსურ აქტივებსა და ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით,

არაფინანსური აქტივების შეფასდება შემდეგი საფუძვლით:

(ა) ძირითად საშუალებებს აფასებს დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით შემცირებულ თვითღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (თვითღირებულების მოდელი),

(ბ) მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით; და

ფინანსური ვალდებულებების გარდა, ყველა სხვა ვალდებულების უმეტესობა აღიარდება იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ამონაგების აღიარება

შემოსავლებიდან ამონაგები აღიარდება როცა დაბინავდება მოსავალი მიღებული პროდუქტის საბაზრო ფასებიდან გამომდინარე და მზა პროდუქტისათვის კი მიწოდების დასრულები მომენტში.

მოგების გადასახადი

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის მანძილზე განაწილებული მოგების ოდენობას - ესტონური მოდელის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ნაშთის შემცირებადი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

იჯარით არებული შენობა-ნაგებობების რემონტები

15 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა

20 პროცენტი

ავეჯი და სხვა ინვენტარი

20 პროცენტი

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს იდენტიფიცირებად არამატერიალურ ქონებას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება არ ხდება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღიარება ხდება მოსავლის მიღების მომენტში არსებული საბაზრო ფასებით გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გათვალისწინებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

ჩამოწერის თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმომ ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელის

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო აფასებს მას გარიგების ფასით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ფინანსური ინსტრუმენტებს აფასებს იმგვარად, როგორც განსაზღვრულია ქვემოთ,

(ა) სავალლო ინსტრუმენტები უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავალლო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, უნდა შეფასდეს გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით,

3. პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

საწარმოს არ უფიქსირდება არანაირი პირობითი აქტივი და ვალდებულება, შესაბამისად არ მოეთხოვება არანაირი ახსნა-განმარტება.

ამონაგები

საწარმოს სოფლის მეურნეობის საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები ასახულია მოსავლის მიღების მომენტში არსებული ფასების მიხედვით, მოსავლის აღების მომენტში ერთიანად.

საწარმოს მზა პროდუქციის ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

4. ამონაგები

	2022	2023	2024
	1 ლარი	1 ლარი	1 ლარი
მზა პროდუქციის მიწოდების შემოსავალი / Income from Supply	25 827	162 030	269 897
სხვა შემოსავლები / Other income	0	0	0
	25 827	162 030	269 897

5. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

შედგება გადაფასების და მსგავსი არაკონტროლირებადი ოპერაციის შედეგებისაგან

	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
საპროცენტო შემოსავალი / Interest Income	0	5 805	11 381
დადებითი საკურსო სხვაობა / Favourable Exchange rate Changes	132 413	98 477	181 150
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები / Other non-operational Changes	514	14 783	5 985
	132 928	119 064	198 516

6. სხვა ხარჯები

შემდეგი ხარჯები აღიარებულ იქნა სხვა ხარჯად:

	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
ფერმის მოწყობის ხარჯები / Construction of Farm House (Incubator)	- 47 002 -	220 026	-
ფერმის მოვლის ხარჯი / Maintenance of farm House (Incubator)	- 9 710 -	12 344 -	132 419
წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯი / Costs related to production	- -	26 753 -	17 010
საიჯარო ქირა / Rent	- 66 415 -	26 967 -	12 203
საოფისე ხარჯები / Office Supplies	- 4 003 -	10 455 -	25 503
კომუნიკაციის ხარჯები / Communication Costs	- 5 446 -	5 370 -	2 081
კომუნალური ხარჯები / Communal Costs	- 41 461 -	61 311 -	21 375
საკონსულტაციო ხარჯები / Consultation fees	- 8 777 -	3 158	-
რემონტის დანახარჯები / Repair and Maintenance	- 89 109 -	103 685 -	35 881
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული) / Fuel Costs	- 32 822 -	20 689 -	6 013
მივლინების ხარჯი / Business Trip Costs	- 1 900 -	2 200	-
ტრანსპორტირების ხარჯი / Transportation Costs	- 19 030 -	12 340 -	42 997
დაზღვევის ხარჯები / Insurance Fees	- 4 585 -	4 582 -	286
საგადასახადო ხარჯი / Tax costs	- 12 168 -	23 235 -	23 385
საბანკო ხარჯები / Bank commissions	- 4 157 -	5 933 -	442
წარმომადგენლობითი ხარჯი / Representative Costs	- 21 820 -	9 025 -	27 885
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები / Other Administrative Costs	- 21 423 -	31 847 -	3 543
	- 389 827 -	579 920 -	351 024

7. არასაოპერაციო ხარჯი

შედგება ისეთი ხარჯებისაგან რომელზეც საწარმოს არ აქვს კონტროლი, ესენია გადაფასების შედეგები და სხვა ანალოგიური მუხლები

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
სავაჭრო დებიტორები	50	12 661	36 036
საქვეანგარიშო პირის თანხები	911	-	-
კაპიტალის შევსებაზე მოთხოვნა	2 402 684	2 402 684	-
გაცემული ავანსები	145 523	883	14 257
	2 549 169	2 416 228	50 293

9. სასესხო აქტივები

შედგება საწარმო მიერ გაცემული სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტისაგან, გაცემული სესხის ძირი 2024 წლის ბოლოს არის 87 305.51 ლარი და პროცენტი 14 082.43 ლარი

10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
საქონელი	162 182	-	2
ნედლეული	135 183	28 590	25 983
დაუმთავრებელი წარმოება	454 189	-	-
მზა პროდუქცია	147 024	3 064	2 749
შხამები და ქიმიკატები, სასუქი	52 042	13 331	1 492
სხვა მარაგები	496 985	561 069	370 636
	1 447 605	606 054	400 861

11. ძირითადი საშუალებები

	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
მიწის ნაკვეთი	-	183 281	183 281
შემოსვლა/გასვლა	183 281	-	-
წლიური ცვეთა	-	-	-
ცვეთის გასვლა	-	-	-
საბალანსო ღირებულება	183 281	183 281	183 281
შენობა / ნაგებობა	-	1 646 312	1 591 763
შემოსვლა/გასვლა	1 676 589	-	-
წლიური ცვეთა	30 277	54 549	50 003
ცვეთის გასვლა	-	-	-
საბალანსო ღირებულება	1 646 312	1 591 763	1 541 760
მანქანა დანადგარები - საწყისი	-	450 819	421 907
შემოსვლა/გასვლა	466 236	4 079	13 887
წლიური ცვეთა	15 417	32 991	30 926
ცვეთის გასვლა	-	-	-
საბალანსო ღირებულება	450 819	421 907	404 869
ოფისის აღჭურვილობა - საწყისი	-	20 168	26 714
შემოსვლა/გასვლა	20 806	7 941	-
წლიური ცვეთა	637	1 395	1 615
ცვეთის გასვლა	-	-	-
საბალანსო ღირებულება	20 168	26 714	25 099
ავეჯი და ინვენტარი - საწყისი	-	21 260	22 761
შემოსვლა/გასვლა	21 856	3 305	-
წლიური ცვეთა	596	1 804	1 654
ცვეთის გასვლა	-	-	-
საბალანსო ღირებულება	21 260	22 761	21 107
სატრანსპორტო საშუალება	-	94 324	89 424
შემოსვლა/გასვლა	97 999	-	29 650
წლიური ცვეთა	3 675	4 900	5 480
ცვეთის გასვლა	-	-	-
საბალანსო ღირებულება	94 324	89 424	113 594
საიჯარო ფათის კეთილმოწყობა - საწყისი	-	166	157
შემოსვლა/გასვლა	171	-	-
წლიური ცვეთა	5	9	8
ცვეთის გასვლა	-	-	-
საბალანსო ღირებულება	166	157	149
სხვა საშუალებები	-	16 469	14 822
შემოსვლა/გასვლა	16 473	-	-
წლიური ცვეთა	4	1 647	1 510
ცვეთის გასვლა	-	-	-
საბალანსო ღირებულება	16 469	14 822	13 312

12. არამატერიალური აქტივები

საწაროს არამატერიალური აქტივები შედგება პროგრამული უზრუნველყოფისაგან, გუდვლისა და სხვა აქტივებისაგან. არცერთ ამ კატეგორიაზე არაა დარიცხულია ცვეთა.

	2022	2023	2024
	1 ლარი	1 ლარი	1 ლარი
ლიცენზიები (პროგრამული)	8 222	8 222	8 222
გუდვილი	771 622	771 622	771 622
სხვა არამატერიალური აქტივი	25 933	25 933	25 933
	805 777	805 777	805 777

13. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები და მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

როგორც საწყისი ასევე საბოლოო სავაჭრო ვალდებულებები არის მხოლოდ საანგარიშგებო ვალუტაში ნომინირებული.

	2022	2023	2024
	1 ლარი	1 ლარი	1 ლარი
სავაჭრო კრედიტორი	190 849	234 813	246 712
მიღებული ავანსები	1 318	27 465	27 465
საქვანგარიშო პირის თანხები	2 048	2 125	2 125
	194 216	264 403	276 302

ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს სასაწყობო ფართი, ამ იჯარის საშუალო ვადა ერთი წელია შემდგომი გაგრძელების პირობით და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

14. გრძელვადიანი სესხები

კომპანიას აღებული აქვს რამდენიმე გრძელვადიანი სესხი პარტნიორისაგან, როგორც ლარში ასევე უცხოურ ვალუტაში, გადახდის პრაქტიკული ვადა აღემატება ანგარიშგების თარიღის შემდგომ 12 თვეს.

სესხები არ გულისხმობს რაიმე სახის ქონების გირავნობას ან თავდებობას.

15. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ნაშთი შედგება სრულად ანაზღაურებული წილისაგან.

კაპიტალი შეივსო 2022 წელს და მის მერე რაიმე ცვლილება მასში არ მომხდარა.

მაკორექტირებელი და არა-მაკორექტირებელი მოვლენები

არანაირი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები არ გამოვლენილა 2024 წლის

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

პარნიორებმა და კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 15 ივნისს.

საწარმოს დირექტორი
მერაბ ნადარაია

